



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური  
დირექტორის

ბრძანება № 07

2016 წლის 18 იანვარი

ქ. თბილისი

2016 წლის 15 მარტიდან 2016 წლის 30 ივნისის ჩათვლით მოკლევადიანი ინდივიდუალური  
სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გაცემის მიზნით საგრანტო კონკურსის გამოცხადების,  
კონკურსის პროგრამისა და მასში მონაწილეობის პირობების დამტკიცების შესახებ

„მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გაცემის წესის შესახებ  
დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 20 თებერვლის N30/ნ  
დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის და „საჯარო სამართლის  
იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების  
დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ  
ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და  
სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების  
უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ნინო გაჩეჩილაძის  
სამსახურებრივი ბარათის (N35684, 18.01.2016) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. 2016 წლის 18 იანვარს გამოცხადდეს საგრანტო კონკურსი 2016 წლის 15 მარტიდან 2016 წლის 30 ივნისის ჩათვლით მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გაცემის მიზნით;
2. დამტკიცდეს 2016 წლის 15 მარტიდან 2016 წლის 30 ივნისის ჩათვლით მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გაცემის მიზნით საგრანტო კონკურსის პროგრამა და პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს 2016 წლის 15 მარტიდან 2016 წლის 30 ივნისის ჩათვლით მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გაცემის მიზნით საგრანტო კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ს შესაბამისად;
4. დამტკიცდეს პროექტის ბიუჯეტის ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
6. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

მარინე ჩიტაშვილი

დამტკიცებულია  
სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო  
ფონდის გენერალური დირექტორის  
2016 წლის 19 იანვრის № 27 ბრძანებით

2016 წლის 15 მარტიდან 2016 წლის 30 ივნისის ჩათვლით მოკლევადიანი ინდივიდუალური  
სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გაცემის მიზნით საგრანტო კონკურსის  
პროგრამა და მასში მონაწილეობის პირობები

### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის (შემდგომში – სამოგზაურო გრანტი) მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს მეცნიერთა მონაწილეობას საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში, რათა ინფორმაციის გაცვლისა და გამოცდილების გაზიარების შედეგად გააძლიეროს ადგილობრივი სამეცნიერო პოტენციალი და დაეხმაროს საქართველოს მეცნიერების საერთაშორისო სამეცნიერო სფეროში ინტეგრაციას.
2. სამოგზაურო გრანტების საშუალებით ქართველ მეცნიერებს საშუალება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ საზღვარგარეთ დაგეგმილ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში.
3. 2016 წელს სამოგზაურო გრანტების გაცემის მიზნით გამოცხადებული საგრანტო კონკურსი (შემდგომში – კონკურსი) და მის ფარგლებში გაცემული სამოგზაურო გრანტები ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მის სრულ ადმინისტრირებას ახორციელებს სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში – ფონდი).
4. ფონდი უზრუნველყოფს:
  - ა) საკონკურსო კომისიის შექმნას, რომელიც „მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გაცემის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 20 თებერვლის 30 დადგენილების მე-7 მუხლით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად შეაფასებს კონკურსში წარდგენილ განაცხადებს;
  - ბ) საკონკურსო კომისიის მიერ დასაფინანსებლად შერჩეულ პრეტენდენტთა გამოვლენასა და დამტკიცებას;
  - გ) გამარჯვებულ პრეტენდენტთა დაფინანსებას და შემდგომ კონტროლს „მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გაცემის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 20 თებერვლის №30 დადგენილებითა და შესაბამისი საგრანტო ხელშეკრულებით დადგენილი წესის შესაბამისად.

### მუხლი 2. სუბიექტები

1. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ: